ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4948607

ნომერი: AR1747107

თარიღი : 05.05.2020

გაცემის თარიღი : 15.05.2020

გაცნობის თარიღი : 15.05.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გამსახურდია , N 34 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 2 , (ნაკვ. 13/010) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 2 , (ნაკვ. 13/011);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი შაყულაშვილი პ/ნ 01008032108
- თბილისი დ. ბაგები ი.უჩანეიშვილის I გას. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ბანკომატის განთავსება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, გამსახურდიას გამზირი #34, ქალაქი თბილისის ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი #2 (ნაკვეთი 13/010), ქალაქი თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი #2 (ნაკვეთი 13/011) შპს "ბიზნეს ცენტრი საბურთალო"ს (მოიჯარე სს „ლიბერთი ბანკი“) ფართის ფასადზე ბანკომატის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882020196461 17/03/2020წ. საკადასტრო კოდი N 01.10.14.013.041, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, გამსახურდიას გამზირი #34, ქალაქი თბილისის ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი #2 (ნაკვეთი 13/010), ქალაქი თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი #2 (ნაკვეთი 13/011) შპს "ბიზნეს ცენტრი საბურთალო"ს (მოიჯარე სს „ლიბერთი ბანკი“) ფართის ფასადზე ბანკომატის მოწყობის შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა, ამ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 წელი.

---

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.